PEPSICO

# იმოქმედეთ კეთილსინდისიერად

## PEPSICO-ს გზა

PEPSICO-ს ქცევის გლობალური კოდექსი

## შესავალი 3

ჩვენი მისია და ხედვა . . . . . 4

## იმოქმედეთ კეთილსინდისიერად 5

რატომ გვაქვს ქცევის კოდექსი? . . . . . 6
იმოქმედეთ კეთილსინდისიერად . . . . . 6
ვინ არის პასუხისმგებელი ჩვენს კოდექსზე? . . . . . 6
რა არის ჩემი პირადი პასუხისმგებლობა? . . . . . 7
იმოქმედეთ კეთილსინდისიერად . . . . . 7
    როგორ ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად . . . . . 7
    ხელმძღვანელობა მაგალითით. . . . . 8
იმოქმედეთ კეთილსინდისიერად . . . . . 8
როგორ მოვიძიო მითითებები და შევატყობინო დარღვევების შესახებ? . . . . . 9
იმოქმედეთ კეთილსინდისიერად . . . . . 9
იმოქმედეთ კეთილსინდისიერად . . . . . 10
აზრის დაფიქსირების ცხელი ხაზი: . . . . . 10
არასათანადო მოქმედების და დისციპლინარული ზომების გამოკვლევა . . . . . 11
იმოქმედეთ კეთილსინდისიერად . . . . . 11
ანგარიშსწორება აკრძალულია. . . . . 11

## ჩვენს სამუშაო ადგილზე 12

ჩვენს სამუშაო ადგილზე . . . . . 13
მრავალფეროვნება, თანასწორობა და ჩართულობა . . . . . 13
ადამიანის უფლებები. . . . . 14
ჩვენს სამუშაო ადგილზე . . . . . 14
დისკრიმინაციის/შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა . . . 15
ჩვენს სამუშაო ადგილზე . . . . . 15
გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება . . . . . 16
ჩვენს სამუშაო ადგილზე . . . . . 16
ნივთიერებების ბოროტად გამოყენება . . . . . 17
ძალადობის საწინააღმდეგო . . . . . 17

## ჩვენს ბაზარზე 18

ჩვენი მომხმარებლები . . . . . 19
    სურსათის უვნებლობა და პროდუქტის ხარისხი . . . . 19
    პასუხისმგებელი მარკეტინგი. . . . . 20
ჩვენი კლიენტები . . . . . 21
ჩვენი მომწოდებლები . . . . . 21
სამართლიანი კონკურენცია . . . . . 22
ქრთამის საწინააღმდეგო . . . . . 23
    სახელმწიფო მოხელეების განსაზღვრა . . . . . 24
საქმიანი საჩუქრები . . . . . 25
ფულის გათეთრების საწინააღმდეგო . . . . . 26
საერთაშორისო სანქციები და ვაჭრობის კონტროლი . . . . 26

## ბიზნესში 27

ზუსტი საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება . . . . . 28
    დოკუმენტაციის შენახვა . . . . . 28
    ფინანსური სიზუსტე . . . . . 29
    ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება და აუდიტი . . 29
კონფიდენციალურობა . . . . . 30
კომპანიის რესურსების სწორი გამოყენება და დაცვა. . . . 31
    ფიზიკური საკუთრება და ფინანსური რესურსები . . . 31
    ელექტრონული აქტივები . . . . . 32
    ინტელექტუალური საკუთრება . . . . . 33
    PepsiCo-ს ინფორმაციის დაცვა . . . . . 34
    შიდა ინფორმაციით ვაჭრობა აკრძალულია . . . . . 35
ინტერესთა კონფლიქტი . . . . . 36
საზოგადოებასთან ურთიერთობა . . . . . 37
    საჯარო გამოსვლა და პრესის გამოკითხვა. . . . . 37
    სოციალური მედია . . . . . 38

## ჩვენს სამყაროში 39

pep+ (PepsiCo პოზიტივი) . . . . . 40
ფონდი PepsiCo . . . . . 40
ჩვენს სამყაროში. . . . . 40
იყავი კარგი მოქალაქე . . . . . 41
პოლიტიკური საქმიანობა . . . . . 41
ჩვენს სამყაროში. . . . . 41

## რესურსები 42

PepsiCo-ს გლობალური შესაბამისობის და ეთიკის დეპარტამენტი . . . . . 42
PepsiCo-ს იურიდიული დეპარტამენტი. . . . . 42
აზრის დაფიქსირების ცხელი ხაზი . . . . . 42

# იმოქმედეთ კეთილსინდისიერად

## PEPSICO-ს გზა

სიამოვნებით წარმოგიდგენთ PepsiCo-ს ქცევის გლობალურ კოდექსს. ჩვენი კოდექსი განსაზღვრავს, თუ როგორ ვაწარმოებთ ბიზნესს ჩვენი ძლიერი ეთიკური კულტურის მეშვეობით გატარებული სწორი გზით: რასაც PepsiCo-ს გზას ვუწოდებთ. PepsiCo-ს გზის ერთ-ერთი მთავარი ქცევა არის კეთილსინდისიერად მოქმედება ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. ეს იმიტომ, რომ კეთილსინდისიერება PepsiCo-ს ყველაზე ძვირფას აქტივს წარმოადგენს. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს დაინტერესებულ მხარეებთან ჩვენი რეპუტაციის შენარჩუნება, დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ჩვენი კონკურენტული უპირატესობის გაძლიერება და გრძელვადიანი ზრდისკენ სწრაფვა.

მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერების და ეთიკის კულტურის ჩამოყალიბებას წლები სჭირდება, მისი დაკარგვა რამდენიმე წუთში შეიძლება. ამიტომ, კულტურის მნიშვნელობის უგულებელყოფა დაუშვებელია. საჭიროა კულტურაში განუწყვეტლივ ინვესტირება, დღითიდღე, ყოველწლიურად. ამიტომაც PepsiCo-ს ყველა თანამშრომელმა უნდა დაიცვას ჩვენი ქცევის გლობალური კოდექსი. ამით ჩვენ არა მხოლოდ გავაძლიერებთ ჩვენს ეთიკურ კულტურას, ასევე დავამყარებთ ნდობას თანამშრომლებთან, კლიენტებთან, მომხმარებლებთან, ინვესტორებთან და საზოგადოებებთან, რაც დაგვეხმარება ყველა იმ ბაზარზე, რომლებსაც ვემსახურებით.

მადლობას გიხდით ამ მნიშვნელოვან წამოწყებაში თქვენი პასუხისმგებლობისთვის — პასუხისმგებლობისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს, რომ PepsiCo დარჩეს ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ, ეთიკურ და წარმატებულ კომპანიად მსოფლიოში.

პატივისცემით,

Ramon Laguarta
თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი

# ჩვენი მისია და ხედვა

PepsiCo-ში ჩვენი მისია მარტივია: *შექმენით მეტი ღიმილი ყოველი ყლუპით და ყოველი ლუკმით.* ჩვენი ყოველი მოქმედება და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ემსახურებოდეს ამ ამბიციას, რადგან ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ ჩვენს ხედვას *გავხდეთ გლობალური ლიდერი ხელსაყრელი საკვებისა და სასმელების თვალსაზრისით, pep+ (PepsiCo პოზიტივი) მიზანმიმართული გამარჯვებით.*

ჩვენ იქამდე მივაღწევთ ერთად მუშაობით, როგორც ერთი PepsiCo, გაერთიანებული შვიდი ქცევის ერთობლიობით, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს კულტურას.

## ჩვენ ამას ვუწოდებთ PEPSICO-*ს გზას:*

- **იმოქმედეთ კეთილსინდისიერად**
- **იმოქმედეთ როგორც მფლობელებმა**
- **უშიშრად გამოთქვით თქვენი შეხედულებები**
- **იყავით კონცენტრირებული და შეასრულეთ საქმეები სწრაფად**
- **გაზარდეთ ნიჭის და მრავალფეროვნების მოთხოვნები**
- **იზეიმეთ წარმატება**
- **იყავით მომხმარებელზე ორიენტირებული**

PepsiCo-ს გზა უბიძგებს ჩვენს თანამშრომლებს და ჩვენს ბიზნესს, გახდეს უფრო სწრაფი, ძლიერი და უკეთესი, რომ წაგვიყვანოს ჩვენი მისიისა და ხედვისკენ.

### უფრო სწრაფი

ბაზარზე გამარჯვებით, მომხმარებელზე მეტად ორიენტირებით და ინვესტიციების დაჩქარებით ამონაგების გაზრდისთვის.

### უფრო ძლიერი

ჩვენი შესაძლებლობების, ღირებულებისა და კულტურის ტრანსფორმირებით, ფუნქციონირებით, როგორც One PepsiCo, ტექნოლოგიის ეფექტურად გამოყენებით, ადგილობრივ და მსოფლიო მასშტაბით გამარჯვებით.

### უკეთესი

ჩვენი მიზნების დღის წესრიგის ჩვენს ბიზნეს სტრატეგიაში ინტეგრაციის განგრძობადობით და ჩვენი პლანეტისა და ხალხისთვის უფრო მეტის გაკეთებით.

# იმოქმედეთ კეთილსინდისიერად

## PEPSICO-ს გზა

PepsiCo-ში, ჩვენ გვჯერა, რომ კეთილსინდისიერად მოქმედება არ არის მხოლოდ სწორი საქმე; ეს არის სწორი საქმე იმისთვის, რომ ჩვენი ბიზნესი უფრო გაძლიერდეს.

ჩვენი ქცევის გლობალური კოდექსი არის ეთიკური სრულყოფისადმი ჩვენი ვალდებულების საფუძველი და ითვალისწინებს იმ პოლიტიკას და მითითებებს, რომლებიც განსაზღვრავს თუ როგორ ვაწარმოებთ ბიზნესს სწორი გზით – PepsiCo-ს გზა.

## იმოქმედეთ კეთილსინდისიერად


რატომ გვაქვს ქცევის კოდექსი? . . . . . 6

ვინ არის პასუხისმგებელი ჩვენს კოდექსზე? . . . . . 6

რა არის ჩემი პირადი პასუხისმგებლობა? . . . . . 7

- როგორ ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად . . . . . 7
- ხელმძღვანელობა მაგალითით. . . . . 8

როგორ მოვიძიო მითითებები და შევატყობინო დარღვევების შესახებ? . . . . . 9

აზრის დაფიქსირების ცხელი ხაზი . . . . . 10

არასათანადო მოქმედების და დისციპლინარული ზომების გამოკვლევა . . . . . 11

ანგარიშსწორება აკრძალულია . . . . . 11

# რატომ გვაქვს ქცევის კოდექსი?

PepsiCo-ს ქცევის გლობალურ კოდექსში მოცემულია პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ ვაწარმოებთ ბიზნესს მთელს მსოფლიოში. ჩვენი კოდექსის დაცვით და ყოველთვის კეთილსინდისიერად მოქმედებით, თქვენ მნიშვნელოვან როლს ასრულებთ ჩვენი ეთიკური სრულყოფის კულტურის მხარდასაჭერად.

ჩვენი კოდექსი ასახავს კომპანიის ერთგულებას ეთიკის პრაქტიკის მიმართ ჩვენი ბიზნესის ყველა ასპექტში:

**პატივისცემა**
**სამუშაო ადგილზე**

**ნდობა**
**ბაზარზე**

**პატიოსნება**
**ჩვენს საქმიან ურთიერთობებში**

**კეთილსინდისიერება**
**ბიზნესის წარმოებაში**

**მიზანი**
**ჩვენს სამყაროში**

# ვინ არის პასუხისმგებელი ჩვენს კოდექსზე?

როგორიც არ უნდა იყოს თქვენი როლი PepsiCo-ში, ჩვენი კოდექსის პრინციპები უნდა იყოს უმნიშვნელოვანესი ყველა საქმიან გადაწყვეტილებაში, რომელსაც მიიღებთ. ჩვენი კოდექსი მოქმედებს ყველასთვის ჩვენს კომპანიაში, ყველგან, ჩვენი ოფისებიდან, ქარხნებიდან და საწყობებიდან დაწყებული დირექტორთა საბჭოს დარბაზამდე, მათ შორის არის:

- PepsiCo-ს ყველა თანამშრომელი, PepsiCo-ს კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების თანამშრომლების ჩათვლით.
- PepsiCo-ს დირექტორთა საბჭოს წევრები, როცა ისინი მოქმედებენ დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში.

ჩვენი კომპანიის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჩვენი კოდექსის მიღებაზე. PepsiCo-ს გლობალური შესაბამისობის და ეთიკის დეპარტამენტი პასუხისმგებელია კოდექსის პოპულარიზაციაზე, მონიტორინგსა და აღსრულებაზე.

ჩვენი კოდექსის ნებისმიერი დებულების შესრულებაზე უარის თქმა მოითხოვს გლობალური შესაბამისობისა და ეთიკის უფროსი ოფიციალური პირის წინასწარ წერილობით თანხმობას ან, გარკვეულ შემთხვევებში, დირექტორთა საბჭოს ან მისი კომიტეტის თანხმობას. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს უარის თქმუს გამჟღავნება, მოქმედი კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე ქცევის კოდექსი არ წარმოადგენს სამუშაო ხელშეკრულებას ან გარანტიას ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში და არ ქმნის დასაქმების რაიმე კონკრეტულ უფლებას.

# რა არის ჩემი პირადი პასუხისმგებლობა?

## იმოქმედეთ კეთილსინდისიერად და იხელმძღვანელეთ ჩვენი კოდექსით

ჩვენი რეპუტაცია, რომ ვიმოქმედოთ ეთიკურად და პასუხისმგებლობით, აგებულია თითოეული გადაწყვეტილების მიღებაზე, ყოველ ჯერზე, ყოველ დღე, თითოეული ჩვენგანის მიერ. ჩვენი კოდექსი, ჩვენი კომპანიის პოლიტიკასთან ერთად, გაწვდით ინფორმაციას, რომელიც საჭიროა თქვენი სამუშაოს ეთიკურად შესრულებისთვის. თქვენი ვალდებულებაა იმოქმედოთ როგორც მფლობელებმა და გაითვალისწინოთ და შეასრულოთ ის პოლიტიკა, რომელიც ეხება თქვენს მიერ შესრულებულ სამუშაოს და თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

როგორც გლობალური ბიზნესი, PepsiCo ასევე მზად არის დაექვემდებაროს იმ ქვეყნების კანონებს, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. გლობალური კანონები და რეგულაციები კომპლექსურია; ჩვენი კოდექსისა და პოლიტიკის დაცვა ხელს შეუწყობს თქვენ მიერ ადგილობრივი კანონების შესრულებას.

## როგორ ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად

- **პატივი ეცით და დაიცავით PEPSICO-ს ქცევის კოდექსი**
- **ყოველთვის გააკეთეთ, რაც სწორია**
- **იხელმძღვანელეთ მაგალითით და შთააგონეთ სხვებიც**
- **იმოქმედეთ გამჭვირვალედ და გულწრფელად**
- **ანგარიშვალდებული იყავით თქვენს ქმედებებზე**

**ნუ ეცდებით საქმის უფრო სწრაფად გაკეთებას, არაეთიკური გზით.**

PepsiCo-ში, ჩვენ ვამაყობთ საკუთარი შესაძლებლობებით, რომ მოვახდინოთ ფოკუსირება და სწრაფად გავაკეთოთ საქმე, მაგრამ თქვენ არასდროს უნდა დაუშვათ, რომ ამბიციური საქმიანი მიზნებისკენ სწრაფვისას მხედველობიდან გამოგრჩეთ გადაწყვეტილების მიღების ეთიკური ასპექტები. კეთილსინდისიერად მოქმედება ნიშნავს სწორი საქმის კეთებას მაშინაც კი, როდესაც არავინ გიყურებთ. ადვილია აყვეთ ერთი შეხედვით მცირე ეთიკური დარღვევების ცდუნებას, რასაც თითქოს სხვები ვერ შეამჩნევენ. კეთილსინდისიერად მოქმედება არ ნიშნავს მხოლოდ წესების დაცვას; ის ნიშნავს, რომ იხელმძღვანელოთ საკუთარი მორალური პრინციპებით.

# ხელმძღვანელობა მაგალითით

მაშინ როცა ყველა თანამშრომელმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, PepsiCo-ს თითოეულ მენეჯერსა და ხელმძღვანელს აქვს გაზრდილი პასუხისმგებლობა, იხელმძღვანელოს მაგალითით და შთააგონოს სხვებიც ჩვენი კოდექსის პრინციპების გაძლიერების გზით, ჩვენი პერსონალის ყველა დონეზე.

თუ ლიდერი ან მენეჯერი ხართ, თქვენგან მოელიან, რომ იყოთ დადებითი მაგალითის მიმცემი და შთააგონოთ სხვები, რომ დაიცვან ჩვენი კოდექსი:

- კეთილსინდისიერების წახალისება.
- ეთიკური გადაწყვეტილების მიღების წახალისება.
- გახსნილი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც გუნდის წევრები თავს კომფორტულად იგრძნობენ, რათა ხმამაღლა და უშიშრად დააფიქსირონ მოსაზრებები.
- ანგარიშსწორების აღკვეთა მათ მიმართ, ვინც აზრს დააფიქსირებს.
- დახმარება პრობლემების გადაწყვეტასა და ესკალაციაში, როდესაც წარმოიქმნება.

## რა უნდა გავაკეთო, თუ ჩემი მენეჯერი მთხოვს შევასრულო დავალება, რომელიც, ჩემი აზრით, არღვევს ჩვენს კოდექსს ან კანონს?

თქვენი მენეჯერის წინაშე ღიად და გულწრფელად დააყენეთ თქვენი პრობლემები. თუ არ ხართ კმაყოფილი თქვენი მენეჯერის პასუხით, ან თუ არ გრძნობთ თავს კომფორტულად მენეჯერთან საუბრისას, დააყენეთ საკითხი სხვა რესურსის საშუალებით, რომლებიც ჩამოთვლილია განყოფილებაში „როგორ მოვიძიო მითითებები და შევატყობინო დარღვევების შესახებ?“ თქვენ განზრახ არასოდეს უნდა დაარღვიოთ ჩვენი კოდექსი, პოლიტიკა ან კანონი, მაშინაც კი, თუ მენეჯერი გიბიძგებთ ამის გაკეთებისკენ, ან იმის გამო, რომ თქვენ ვერ მოითხოვეთ მითითებები.

# როგორ მოვიძიო მითითებები და შევატყობინო დარღვევების შესახებ?

თქვენი პასუხისმგებლობაა კითხვების დასმა, საკითხების წამოჭრა და ხმის ამაღლება უშიშრად როდესაც შესაბამისობის საკითხები წარმოიშობა. ჩვენი კოდექსი ვერ აღწერს ყველა შესაძლო სიტუაციას, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეთ თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. თუ ვერ პოულობთ პასუხს ჩვენს კოდექსში, ან თუ გაქვთ შეკითხვები, თუ როგორ უნდა მოახდინოთ ჩვენი კოდექსის ინტერპრეტაცია, მოიძიეთ მითითებები. ამის მსგავსად, თუ თქვენ იცით რაღაც, რაც შეიძლება იყოს ჩვენი კოდექსის, ჩვენი პოლიტიკის ან კანონის დარღვევა, თქვენ უნდა განაცხადოთ და შეატყობინოთ ამის შესახებ, რათა მოხდეს მისი განხილვა. რამდენიმე არხი გაქვთ მითითებების მოსაძებნად ან მოხსენების გასაკეთებლად:

**თქვენი უშუალო მენეჯერი, შემდეგი დონის მენეჯერი ან ადამიანური რესურსების მენეჯერი:** უმეტეს შემთხვევაში, თქვენი უშუალო მენეჯერი უნდა იყოს თქვენი პირველი საკონტაქტო პირი. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეთ თქვენს მენეჯერს, რომ აცნობოთ ისეთი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ ყურადღებას, მაგალითად, სამუშაო ადგილზე ძალადობა, თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და საკვების ხარისხი და უსაფრთხოება.

თქვენი მენეჯერი ასევე არის შესანიშნავი რესურსი მითითებების ან პრობლემური საკითხებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მრავალ კომპანიასა და სამუშაოს სპეციფიკურ პოლიტიკასა და პროცესებთან, სამუშაო ვალდებულებებთან, თანამშრომლების საკითხებთან, დისციპლინის დავებთან, კომპენსაციასთან, ხელშეწყობის შესაძლებლობებსა და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებთან.

**PepsiCo-ს იურიდიული დეპარტამენტი ან გლობალური კანონმდებლობის შესაბამისობის და ეთიკის დეპარტამენტი:** კოდექსის ან სამართლებრივი დარღვევების საკითხებისთვის, თქვენ უნდა დაუკავშირდეთ გლობალურ შესაბამისობისა და ეთიკის ან იურიდიულ დეპარტამენტს. ამ საკითხებს რამდენიმე მაგალითი მოიცავს:

- ფინანსური აღრიცხვის ან აუდიტის დარღვევები ან არასწორად წარდგენა.
- თაღლითობა, ქურდობა, მექრთამეობა ან სხვა კორუფციული ბიზნეს პრაქტიკა.
- ანტიმონოპოლიური ან შიდა ინფორმაციით ვაჭრობის დარღვევები.
- PepsiCo-ს ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკის დარღვევა.
- უკანონო დისკრიმინაცია ან შევიწროება.
- ინტერესთა არსებითი კონფლიქტი.
- თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდით თქვენს მენეჯერს, რომ აცნობოთ ისეთი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ ყურადღებას, მაგალითად, სამუშაო ადგილზე ძალადობა, თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და საკვების ხარისხი და უსაფრთხოება.
- სისხლის სამართლის ან სხვა კანონდარღვევები.

იხილეთ თქვენი ქცევის გლობალური კოდექსის ესკალაციის პოლიტიკა.

შეგიძლიათ დაუკავშირდეთ გლობალური შესაბამისობისა და ეთიკის განყოფილებას, ელფოსტით PepsiCoComplianceandEthics@pepsico.com, ან შეგიძლიათ კონსულტაციისთვის მიმართოთ PepsiCo-ს ადგილობრივ იურიდიულ დეპარტამენტს.

## როგორ უნდა გავიგო, თუ როდის უნდა მოვიძიო მითითებები?

თუ ფიქრობთ, რომ რამე არასწორია, მაშინ შეიძლება არ იყოს სწორი ამის გაკეთება. ჰკითხეთ საკუთარ თავს:

- დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მოქმედება კანონიერია? შეესაბამება თუ არა ჩვენს კოდექსს და პოლიტიკას?
- დააზარალებს თუ არა ეს PepsiCo-ს რეპუტაციას, ან გამოიწვევს თუ არა ჩვენი კომპანიის სანდოობის დაკარგვას?
- ვაყენებ თუ არა სხვა ადამიანებს რისკის ქვეშ?
- ვმოქმედებ თუ არა კეთილსინდისიერად, ვარ თუ არა ერთგული და პატიოსანი?
- ვმოქმედებ თუ არა როგორც მესაკუთრე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოქმედება ან შედეგი ცუდად არ აისახოს ჩემზე ან PepsiCo-ზე? როგორ ვიგრძნობდი თავს, თუ ეს გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნდებოდა?

თუ არ ხართ დარწმუნებული რომელიმე ამ კითხვაზე პასუხში, უნდა ითხოვოთ დახმარება სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

**აზრის დაფიქსირების ცხელი ხაზი:** ზემოთ ჩამოთვლილი რესურსების გარდა, შეგიძლიათ დაუსვათ კითხვები, გამოთქვათ შეშფოთება ან გააკეთოთ მოხსენებები შესაბამისობის სავარაუდო დარღვევების შესახებ აზრის დაფიქსირების გზით (Speak Up), PepsiCo-ს ეთიკის ცხელი ხაზის მეშვეობით. აზრის დაფიქსირების სერვისი (Speak Up) არის 24-საათიანი, უფასო ეთიკის ცხელი ხაზი ხელმისაწვდომია PepsiCo-ს ყველა თანამშრომლისთვის, მომხმარებლებისთვის, მომწოდებლებისა და სხვა მესამე პირებისთვის, რათა აცნობონ ჩვენი კოდექსის სავარაუდო დარღვევების შესახებ.

## აზრის დაფიქსირების ცხელი ხაზი ხელმისაწვდომია ნებისმიერ ადგილზე მსოფლიოში

ინტერნეტით, მისამართზე: www.PepsiCoSpeakUp.EthicsPoint.com.

ტელეფონით, სპეციალური უფასო ტელეფონის ნომრის გამოყენებით, იმ ქვეყანაში, რომლიდანაც რეკავთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში დარეკეთ ნომერზე: 1-866-729-4888. საერთაშორისო ტელეფონის ნომრების ჩამონათვალის სანახავად იხილეთ ჩვენი აზრის დაფიქსირების განყოფილება www.mypepsico.com.

QR კოდის სკანირება მობილური ოპტიმიზებული გამოცდილებისთვის.

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მოგვაწვდით PepsiCo-ს დასახმარებლად თქვენი მოხსენების გამოძიებაში, იქნება კონფიდენციალური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა სრულყოფილი, სამართლიანი გამოძიების ჩასატარებლად ან სხვაგვარად, მოქმედი კანონის თანახმად. თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ ანონიმურად, თუმცა, საკუთარი თავის იდენტიფიცირება დაგეხმარებათ თქვენი პრობლემების გამოძიებაში.

იხილეთ ჩვენი აზრის დაფიქსირების გლობალური პოლიტიკა.

## რა ხდება, როცა ვუკავშირდები აზრის დაფიქსირების ცხელ ხაზს?

აზრის დაფიქსირების ხაზზე ზარებს პასუხობს დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც გამოცდილია ცხელი ხაზის ზარების მართვაში. ინტერვიუების სპეციალისტი დაგისვამთ კითხვებს და გაუგზავნის ანგარიშს გლობალური შესაბამისობისა და ეთიკის განყოფილებას, კონფიდენციალური განხილვისთვის. მოხდება ინფორმაციის სწრაფად გამოძიება და, თუ გარანტირებულია, განხორციელდება სათანადო კორექციული ქმედებები.

# არასათანადო მოქმედების და დისციპლინარული ზომების გამოკვლევა

სავარაუდო კოდექსის დარღვევების ყველა შემთხვევა განიხილება შესაბამისი პროფესიონალების მიერ, რომლებიც დანიშნულია გლობალური შესაბამისობისა და ეთიკის განყოფილების მიერ. მკვლევარ(ებ)ი:

იმოქმედებენ ობიექტურად, ფაქტების დადგენისას ინტერვიუების ან დოკუმენტების განხილვის გზით.

დაუკავშირდებიან თანამშრომლებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ცოდნა სავარაუდო ინციდენტ(ებ)ის შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში გირჩევენ, გამოსასწორებელ ქმედებებს და/ან დისციპლინური ზომების მიღებას.

თუ გთხოვენ, სრულად უნდა ითანამშრომლოთ ნებისმიერ გამოკვლევასა თუ გამოძიებასთან.

როგორც PepsiCo-ს თანამშრომელმა, კომპანიის სახელით საქმის წარმოებისას, უნდა დაიცვათ ჩვენი კოდექსი, ჩვენი პოლიტიკა და კანონი. თუ არღვევთ ჩვენს კოდექსს, ჩვენს პოლიტიკას ან კანონს, ამან შეიძლება გამოიწვიოს:

დისციპლინური მოქმედება, დაწყებული დამატებითი ტრენინგითა და ქოუჩინგით, დასაქმების შედეგებით დასრულებული, სამუშაოს შეწყვეტის ჩათვლით.

სამთავრობო უწყების ან სასამართლოს მიერ დაკისრებული სამოქალაქო და/ან სისხლის სამართლებრივი სასჯელები.

## ანგარიშსწორება აკრძალულია

PepsiCo მზადაა, დაიცვას იმ პირთა უფლებები, ვინც უშიშრად აფიქსირებს საკუთარ აზრს და აცნობებს პრობლემების შესახებ ჩვენს კოდექსში აღწერილი შეტყობინების ერთ-ერთი საშუალებით ან აცნობებს ხელისუფლების ორგანოებს. ჩვენი კომპანია არ მოახდენს შურისძიებას ან არ დაუშვებს შურისძიებას იმ პირის მიმართ, ვინც კეთილსინდისიერად მოქმედებს:

- მოახსენებს და/ან ეხმარება სხვა პირს ან ორგანიზაციას, მოახსენონ ჩვენი კოდექსის, ჩვენი პოლიტიკის ან კანონის რეალური ან საეჭვო დარღვევის შესახებ.
- დააყენებს კანონმდებლობის დაცვის საკითხს, ან მიმართავს რჩევისთვის კონკრეტული ბიზნეს პრაქტიკის, გადაწყვეტილებისა თუ მოქმედების შესახებ.
- თანამშრომლობს ან მონაწილეობს ფაქტობრივი ან საეჭვო დარღვევის შიდა ან სახელისუფლებო გამოძიებაში.

იხილეთ ჩვენი სამაგიეროს გადახდისგან დაცვის გლობალური პოლიტიკა.

თქვენგან მოელიან, რომ ხელს შეუწყობთ ტალანტსა და მრავალფეროვნებას PepsiCo-ს ვალდებულების მხარდაჭერით, უზრუნველყოფთ თანაბარი შრომის შესაძლებლობას, მრავალფეროვნების, თანასწორობის და ყველა ადამიანის ღირსების და ადამიანის უფლებების დაცვას.

თქვენ უნდა გააკეთოთ თქვენი წილი საქმე, რომ შექმნათ სამუშაო გარემო, სადაც ყველა იგრძნობს თავს დაფასებულად და პატივცემულად თავისი წვლილისთვის და თავისუფალი იქნება დაშინებისა და შევიწროვებისგან.

## იმოქმედეთ კეთილსინდისიერად ჩვენს სამუშაო ადგილზე


მრავალფეროვნება, თანასწორობა და ჩართულობა . . . . . 13
ადამიანის უფლებები . . . . . 14
დისკრიმინაციის/შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა . . . 15
გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება . . . . . 16
ნივთიერებების ბოროტად გამოყენება . . . . . 17
ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა . . . . . 17

# იმოქმედეთ კეთილსინდისიერად

## ჩვენს სამუშაო ადგილზე

# მრავალფეროვნება, თანასწორობა და ჩართულობა

PepsiCo-ში, მრავალფეროვნებას განვსაზღვრავთ როგორც თვალსაჩინო მახასიათებლებით — რასობრივი, გენდერული და ეთნიკური ნიშნით — ასევე იმ უხილავი თვისებებით და გავლენებით, რომლებიც ნამდვილად განსაზღვრავს ვინ ვართ ჩვენ და გვაქცევს უნიკალურად: პიროვნება, ცხოვრების წესი, აზროვნების პროცესები, სამუშაო გამოცდილება, ასაკი, განათლება, სოციალურ-ეკონომიკური ფონი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, რელიგიური კუთვნილება, სამხედრო სამსახური, ინვალიდობის სტატუსი, ოჯახის ისტორია, საზოგადოების გაერთიანებები და სხვა ფაქტორები.

70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, PepsiCo არის შესაძლებლობის კომპანია, რომელიც განსაკუთრებულ ძალისხმევას ხარჯავს რომ ასწიოს თამასა ტალანტსა და მრავალფეროვნებაზე ჩვენს ინდუსტრიაში. ეს ვალდებულებაა ჩაქსოვილი ჩვენს ღირებულებებსა და რწმენაში, რომ ჩვენი კომპანია ყველაზე ძლიერია, როდესაც ჩვენ ვიღებთ ჩვენს განსხვავებულობის ძალას. ეს ნიშნავს უფრო მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური სამუშაო ადგილის შექმნას ჩვენი პარტნიორების, ჩვენი ბიზნეს პარტნიორობისა და იმ თემებისთვის, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

როგორც PepsiCo-ს თანამშრომელმა, თქვენ უნდა შეიტანოთ წვლილი ჩვენი მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის მისიის წინსვლაში:

**მოსაზრებების გამოთქმა უშიშრად, მოსაზრებების ან გამოცდილებების გაზიარებით**

**მოუსმინეთ მოთმინებითა და თანაგრძნობით, შექმენით ხელსაყრელი გარემო დიალოგისთვის**

**დასვით კითხვები, პატივი ეცით პასუხებს და შექმენით ახალი პერსპექტივები**

**დააფასეთ სხვების მიერ შეტანილი უნიკალური წვლილი**

იხილეთ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ჩართულობის მიმოხილვა.

# ადამიანის უფლებები

PepsiCo აცნობიერებს ადამიანის ძირითადი უფლებების შენარჩუნებისა და განვითარების მნიშვნელობას ჩვენს ოპერაციებსა და მიწოდების ჯაჭვში და ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თანამშრომლების უფლებები ჩვენს ბიზნესსა და მიწოდების ჯაჭვში. ჩვენი კოდექსი და ბიზნეს პოლიტიკები ერთად მუშაობენ ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონპროექტსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციაში გათვალისწინებული პრინციპების მხარდასაჭერად, მუშაობის ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ.

თქვენ მოგეთხოვებათ, რომ მხარი დაუჭირეთ ჩვენს ვალდებულებას პროგრამებისა და პოლიტიკის მართვის შესახებ, რომლებიც:

- ხელს უწყობს სამუშაო ადგილს დისკრიმინაციისა და შევიწროების გარეშე.
- კრძალავს ბავშვთა შრომას, იძულებით მუშაობას და ადამიანებით ვაჭრობას.
- უზრუნველყოფს სამართლიან და მიუკერძოებელ ხელფასებს, სარგებელსა და დასაქმების სხვა პირობებს, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ჰუმანურ და უსაფრთხო სამუშაო პირობებს, მათ შორის უსაფრთხო საცხოვრებელ პირობებს.
- აღიარებს თანამშრომლების უფლებას გაერთიანების და კოლექტიური გარიგების თავისუფლების შესახებ.

თქვენ უნდა იმოქმედოთ როგორც მესაკუთრეებმა, რათა ჩვენმა მომწოდებლებმა და ბიზნესპარტნიორებმა ასევე დაიცვან ეს პრინციპები. ჩვენი ადამიანის უფლებების გლობალური პოლიტიკა, მიმწოდებლის ქცევის გლობალური კოდექსი და ადამიანის უფლებების კომპლექსური შემოწმების პროგრამა არის რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელსაც ვიყენებთ ჩვენი მოლოდინების შეტყობინებისთვის და ადამიანის უფლებების პოტენციურ რისკებთან მიმართებით დახმარების გაწევაში, ჩვენი ოპერაციების და მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში.

თუ თქვენ ეჭვი გაქვთ ადამიანის უფლებების ბოროტად გამოყენებაზე ჩვენს უშუალო ოპერაციებში ან ჩვენს მომწოდებლებთან ან ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობებში, განაცხადეთ და აცნობეთ ამის შესახებ.

იხილეთ ჩვენი ადამიანის უფლებების გლობალური პოლიტიკა და მიმწოდებელთა ქცევის გლობალური კოდექსი.

# დისკრიმინაციის/შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა

თითოეულ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მიაღწიოს თავის სრულ პოტენციალს და წვლილი შეიტანოს PepsiCo-ს წარმატებაში. თქვენ არასოდეს უნდა მოახდინოთ დისკრიმინაცია ან მოეპყროთ თანამშრომლებს ან დასაქმების პრეტენდენტებს უსამართლოდ იმ საკითხებში, რომლებიც გულისხმობს რეკრუტინგს, დაქირავებას, ტრეინინგს, წახალისებას, კომპენსაციას ან დასაქმების ნებისმიერ სხვა პირობას.

თქვენ ვალდებული ხართ, რომ დასაქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოთ თანამშრომლებთან და პრეტენდენტებთან მიმართებით, სამუშაოსთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით, რასობრივი, ფერის, სქესის, ასაკის, ეროვნული წარმოშობის, რელიგიის, მრწამსის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტურობის, მოქალაქეობის, ინვალიდობის, გენეტიკური ინფორმაციის, სამხედრო ან ვეტერნის სტატუსის, ორსულობის, მატერიალური ან ოჯახური სტატუსის ან ნებისმიერი სხვა იურიდიულად დაცული საფუძველის გათვალისწინების გარეშე. დასაქმების გადაწყვეტილების მიღება რომელიმე ამ პირადი მახასიათებლების საფუძველზე ეწინააღმდეგება ჩვენს პოლიტიკას და მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით არის უკანონო.

ჩვენი კოდექსი კრძალავს ნებისმიერი სახის შევიწროებას სამუშაო ადგილზე ან რაიმე სხვა შეურაცხმყოფელ ან უპატივცემულო მოპყრობას. PepsiCo ასევე ემორჩილება ყველა ქვეყნის და ადგილობრივ კანონებს შევიწროების აკრძალვის შესახებ. თქვენ არასდროს უნდა მიიღოთ მონაწილეობა შევიწროვებაში სამუშაო ადგილზე, რაც მოიცავს არასასურველ სიტყვიერ, ვიზუალურ, ფიზიკურ ან რაიმე სახის სხვა ქცევას, რაც სხვებს თავს არაკომფორტულად აგრძნობინებს, ან ქმნის საშიშ, შეურაცხმყოფელ ან მტრულ სამუშაო გარემოს.

მიუხედავად იმისა, რომ შევიწროების სამართლებრივი განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციების მიხედვით, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია შემდეგი ქცევების არასრული სია:

- სექსუალური ზეწოლა.
- შეურაცხმყოფელი სიტყვები, ხუმრობები ან დამამცირებელი კომენტარი.
- რასობრივი, ეთნიკური, გენდერული ან რელიგიური უხეში გამოთქმები.
- დაშინება ან მუქარის შემცველი ქცევა.

გახსოვდეთ, რომ შევიწროება, სექსუალური თუ სხვაგვარი, განისაზღვრება თქვენი ქმედებებით და თუ როგორ გავლენას ახდენს ისინი სხვებზე, თქვენი განზრახვის მიუხედავად. თუ თქვენ ან ვინმე ხართ დისკრიმინაციის ან შევიწროების ობიექტი, განაცხადეთ და აცნობეთ ამის შესახებ.

იხილეთ ჩვენი თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების გლობალური პოლიტიკა და შევიწროების საწინააღმდეგო გლობალური პოლიტიკა.

## რა არის სექსუალური შევიწროება?

სექსუალური შევიწროება შეიძლება იყოს სექსუალური ხასიათის სიტყვიერი, ვიზუალური ან ფიზიკური ქცევა, რომელიც არასასურველია და რომელსაც გონიერი ადამიანი შეურაცხყოფად მიიჩნევს. ის შეიძლება მრავალი ფორმით გამოიხატოს, მაგალითად:

- სექსუალური არშიყობა, სექსუალური სარგებლის მოთხოვნა ან პაემანების არასასურველი მოთხოვნები.
- სექსზე ორიენტირებული ხუმრობები, სურათები, ტექსტები ან ელფოსტა.
- გარეგნობის შესახებ მკაფიო ან დამამცირებელი კომენტარები.
- სექსის შეთავაზების აზრის მატარებელი სურათების ან პორნოგრაფიის ჩვენება.

# გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

PepsiCo მოწოდებულია დაიცვას ჩვენი თანამშრომლების, ვიზიტორების, კონტრაქტორების, მომხმარებლებისა და საზოგადოებების გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (EHS). თქვენ პასუხისმგებელი ხართ, დაიცვათ ყველა EHS პოლიტიკა, პროცედურა და რეგულაცია, იქნება ეს ჩვენს ობიექტებში, ბაზარზე თუ ტრანსპორტირების გზებზე.

ყოველთვის უნდა განაცხადოთ და გამოთქვათ აღშფოთება უშიშრად, როდესაც:

- **გაძლევენ დავალებას, რომელსაც გარემოსთვის არაუსაფრთხოდ ან საზიანოდ მიიჩნევთ**
- **გავალებენ სამუშაოს, რომლის შესასრულებლადაც ფიქრობთ, რომ არ ხართ სათანადოდ მომზადებული და ამან შეიძლება ზიანი მოგაყენოთ თქვენ ან სხვებს, ან გარემოს**
- **ვინმე ასრულებს დავალებას, რომელიც, თქვენი აზრით, არაუსაფრთხო ან საზიანოა გარემოსთვის, ან რომ ადამიანი არ არის სათანადოდ მომზადებული მის შესასრულებლად**
- **მანქანა ან მოწყობილობის ნაწილი არ მუშაობს სათანადოდ და შეიძლება იყოს სახიფათო**
- **ფიქრობთ, რომ არის არასაიმედო მდგომარეობა ან პოტენციური საშიშროება თქვენი თავისთვის, სხვებისთვის ან გარემოსთვის**
- **თქვენთვის ცნობილია ნებისმიერი მარეგულირებელი ორგანოსთვის მიწოდებული არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია**
- **ადრე მოხსენებული სახიფათო ან ეკოლოგიურად საზიანო პირობები, გამოწვევები ან საკითხები, რომლებიც სათანადოდ არ იყო მოგვარებული**

EHS ყველას პასუხისმგებლობაა - თქვენ ვალდებული ხართ იმოქმედოთ, როგორც მესაკუთრეებმა და დაჟინებით მოითხოვოთ, რომ სამუშაოები უსაფრთხოდ და გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით შესრულდეს, მიუხედავად იმისა, რა არის თქვენი სამუშაო.

იხილეთ ჩვენი გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა.

# ნივთიერებების ბოროტად გამოყენება

თუ თქვენ მუშაობთ ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, თქვენ უქმნით უსაფრთხოების მიუღებელ რისკს საკუთარ თავს და სხვებს. ნარკოტიკები შეიძლება მოიცავდეს უკანონო პრეპარატებს, კონტროლირებად ან გარკვეულ სამართლებრივ ნივთიერებებს ან დანიშნული პრეპარატების არასათანადოდ გამოყენებას. ვალდებული ხართ, რომ თქვენი სამუშაო მოვალეობები შეასრულოთ ნებისმიერი ნივთიერების ზემოქმედების გარეშე, რამაც შეიძლება შეაფერხოს სამუშაოს შესრულება.

თუ თქვენ გაქვთ ნარკოტიკების ან ალკოჰოლის მოხმარების პრობლემა, შეგიძლიათ მოითხოვოთ დახმარება. დაუკავშირდით თქვენს ადამიანური რესურსების მენეჯერს, რომ გაეცნოთ თქვენს რეგიონში მოქმედ დახმარების პროგრამებს, ან იპოვოთ კონკრეტული პოლიტიკა.

## რა განიხილება ნივთიერებების ბოროტად გამოყენებად და აკრძალულია ჩვენი კოდექსით?

- ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მუშაობა PepsiCo-ს შენობაში ან მის გარეთ, მათ შორის დისტანციურად ვიდეო კონფერენციის პლატფორმებზე (მაგ. Zoom, Microsoft Teams).
- არალეგალური ნარკოტიკების ან კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ფლობა, გაყიდვა, გამოყენება, გადაცემა ან განაწილება მუშაობის დროს ან შენობაში.
- კანონიერი პრეპარატის, გამოწერილი პრეპარატის ან ურეცეპტოდ გაცემული პრეპარატის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა.

# ძალადობის საწინააღმდეგო

PepsiCo-ს აქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სამუშაო ადგილებზე დარღვევებთან მიმართებაში. თქვენ გეკრძალებათ ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლის გამოც შეიძლება სხვა პირმა იგრძნოს საფრთხე ან უსუსურობა. ეს მოიცავს სიტყვიერ შეურაცხყოფას, მუქარას, ან მტრული დამოკიდებულების, დაშინების, აგრესიის ან შეშინების რაიმე გამოხატულებას.

ჩვენი კომპანია კრძალავს იარაღის განთავსებას სამუშაო ადგილზე. ეს აკრძალვა ვრცელდება როგორც კომპანიის ავტოსადგომებზე, ასევე ჩვენს ობიექტებზე, ადგილობრივი კანონმდებლობით ნებადართული სრული მასშტაბით.

სამუშაო ადგილებზე ძალადობის მიმართ ჩვენი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ეხება ყველა ჩვენი თანამშრომლის, ასევე მესამე პირების, მათ შორის ვიზიტორების ქცევას, კომპანიის შენობაში, ასევე ჩვენი თანამშრომლების, მომხმარებლების, მოვაჭრეების, მომწოდებლების და დროებითი პერსონალის ქცევას, რომელიც ჩართულია PepsiCo-ს ბიზნესში, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ჩვენი შენობების ფარგლებს გარეთ. სამუშაო ადგილზე ძალადობა ასევე მოიცავს მესამე მხარის ძალადობრივ ქმედებას PepsiCo-ს თანამშრომლის მიმართ, რომელიც PepsiCo-ს სახელით ახორციელებს საქმიანობას.

ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ განაცხადოთ და აცნობოთ უჩვეულო ან შემაშფოთებელი ქცევის, მუქარის ან შესაძლო ძალადობის შესახებ, ადგილმდებარეობის მენეჯმენტს.

იხილეთ ჩვენი სამუშაო ადგილზე ძალადობის გლობალური პოლიტიკა.

# იმოქმედეთ კეთილსინდისიერად

## ჩვენს ბაზარზე

ჩვენს პარტნიორებთან ნდობის გაზრდა მნიშვნელობანი ფაქტორია PepsiCo-ს უფრო სწრაფ, ძლიერ და უკეთეს კომპანიად ჩამოყალიბებისთვის. ეს მოიცავს ჩვენს მომხმარებლებს, რომლებიც ყიდულობენ ჩვენს პროდუქტებს, ჩვენს მომხმარებლებს, რომლებიც ყიდიან ჩვენს პროდუქტს, ჩვენს კონკურენტებს და ჩვენს მომწოდებლებს.

თქვენ უნდა მოექცეთ ჩვენს პარტნიორებს სამართლიანად, პატიოსნად და პატივისცემით, ამასთან, ყველა მოქმედი კანონის დაცვით, სადაც არ უნდა ვეწეოდეთ საქმიანობას.

### იმოქმედეთ კეთილსინდისიერად ჩვენს ბაზარზე


ჩვენი მომხმარებლები . . . . . 19
სურსათის უვნებლობა და პროდუქტის ხარისხი . . . . 19
პასუხისმგებელი მარკეტინგი. . . . . 20
ჩვენი კლიენტები . . . . . 21
ჩვენი მომწოდებლები . . . . . 21
სამართლიანი კონკურენცია . . . . . 22
მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა . . . . . 23
სახელმწიფო მოხელეების განსაზღვრა . . . . . 24
საქმიანი საჩუქრები . . . . . 25
ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა . . . . . 26
საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლი . . . . . 26

# ჩვენი მომხმარებლები

PepsiCo-ს პროდუქტებით მომხმარებლები სარგებლობენ ერთ მილიარდზე მეტჯერ დღეში, 200-ზე მეტ ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში. ჩვენი მომხმარებლების ნდობა ჩვენი კომპანიისა და პროდუქტების მიმართ მნიშვნელოვანია ჩვენი ხედვის მისაღწევად *იყოთ გლობალური ლიდერი სანდო საკვებისა და სასმელის თვალსაზრისით, pep+ (PepsiCo პოზიტივი) მიზანმიმართული გამარჯვებით.*.

არ აქვს მნიშვნელობა რა სამუშაოს ასრულებთ, თითოეული თანამშრომელი გარკვეულწილად ეხება მომხმარებელს. თქვენ უნდა იყოთ მომხმარებელზე ორიენტირებული და ყოველთვის იმოქმედოთ კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყოთ პროდუქციის ხარისხის მაღალი სტანდარტი და პასუხისმგებლობით გაიტანოთ ბაზარზე ჩვენი პროდუქტები.

## სურსათის უვნებლობა და პროდუქტის ხარისხი

PepsiCo-ს მისიის გასაღები *შექმნას მეტი ღიმილი ყოველ ყლუპსა და ყოველ ლუკმასთან ერთად* ჩვენი ვალდებულებაა, რომ შევქმნათ მაღალი ხარისხის პროდუქტები ჩვენს ყველა ბრენდში. ჩვენს მომხმარებლებს აქვთ ნდობა, რომ ჩვენი პროდუქტები თავიანთი ცხოვრების ნაწილად აქციონ და თავიანთ უახლოეს ადამიანებს გაუზიარონ.

ჩვენ ვინარჩუნებთ მომხმარებელთა ნდობას იმ პროდუქტების კვლევით, განვითარებით და წარმოებით, რომლითაც ნამდვილად ვამაყობთ ეთიკის თვალსაზრისით. ჩვენ უზრუნველვყოფთ ხარისხს მთელ მიწოდების ქსელში ინგრედიენტების შეძენიდან, სანამ მზა პროდუქტი ჩვენს მომხმარებლამდე მიაღწევს.

თუ თქვენ ჩართული ხართ ჩვენი პროდუქციის შემუშავების, წარმოების, მართვის ან შენახვის ნებისმიერ ასპექტში, თქვენ უნდა:

**იცოდეთ სურსათის უვნებლობისა და პროდუქციის ხარისხის სტანდარტები, წესები და პროცედურები, რომლებიც ვრცელდება თქვენს ტერიტორიაზე წარმოებულ პროდუქტებზე**

**დაიცავით წარმოების სათანადო პრაქტიკა და შემოწმების პროტოკოლები**

**დაიცავით სურსათის უვნებლობის ყველა მოქმედი კანონი და დებულება**

თუ ხედავთ ან ეჭვობთ ისეთ რამეს, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს პროდუქტის უსაფრთხოებას ან ხარისხს, დაუყოვნებლივ განაცხადეთ და აცნობეთ ამის შესახებ.

სურსათის უვნებლობის გლობალური პოლიტიკა.

# პასუხისმგებელი მარკეტინგი

როგორც სანდო გლობალური სურსათისა და სასმელების კომპანიას, ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, რომ ჩვენი პროდუქტები ზუსტად და გამჭვირვალედ გავიტანოთ ბაზარზე, ყველა მომხმარებლისთვის. ვალდებული ხართ, რომ ყოველთვის წარმოადგინოთ ჩვენი პროდუქტები კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობით და ყველა შესაბამისი კანონისა და წესის დაცვით იმ ქვეყნებში, სადაც ვმუშაობთ.

თუ თქვენი სამუშაო მოიცავს მარკეტინგს, თქვენ არასოდეს უნდა:

**გადააჭარბოთ ან არასწორად წარმოადგინოთ ჩვენი პროდუქციის ან შეფუთვის მახასიათებლები**

**გამოიყენოთ შეცდომაში შემყვანი ან არასწორი განცხადებები რეკლამირებაში ან ეტიკეტებზე**

**გამოთქვათ პრეტენზია, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ჩვენი პროდუქტებისა თუ პროდუქტის ინგრედიენტების შესახებ პრეტენზიები, სათანადო დასაბუთებისა და სათანადო სამართლებრივი განმარტების გარეშე**

დარწმუნდით, რომ იცავთ ყველა ადგილობრივი განხილვისა და დამტკიცების პროცესებს მომხმარებელზე ორიენტირებული შიგთავსისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ რეკლამის შემუშავებასა და პროგრამის შეფასებას, რომელიც შეიცავს გზავნილებს 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.

იხილეთ ჩვენი პოლიტიკა ბავშვებისთვის პასუხისმგებელი რეკლამირების შესახებ.

# ჩვენი კლიენტები

ჩვენი პარტნიორობა ჩვენს მომხმარებლებთან აუცილებელია ჩვენი პროდუქციის მომხმარებლების ხელში მოხვედრისთვის. შესაბამისად, თქვენ უნდა მოეპყროთ ჩვენს მომხმარებლებს ეთიკურად, სამართლიანად და მიიღოთ მათი ბიზნესი ჩვენი უმაღლესი პროდუქციის, მომხმარებლის მომსახურებისა და კონკურენტული ფასების საფუძველზე და არასდროს ჩაერთოთ უსამართლო ან მოტყუებით ვაჭრობის პრაქტიკაში.

ჩვენი კონტრაქტები მომხმარებლებთან ყოველთვის უნდა ასახავდეს იმ მნიშვნელობასა და ღირებულებას, რასაც ჩვენს ბიზნესში ვდებთ. მომხმარებელთა გაყიდვებისა და ვაჭრობის ხარჯების შესახებ ხელშეკრულებები უნდა იყოს წერილობითი და შეესაბამებოდეს ჩვენს პოლიტიკასა და ადგილობრივ კანონებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ გვერდი 29: ფინანსური სიზუსტე.

იხილეთ ჩრდილოეთ ამერიკის გაყიდვების შესაბამისობის პოლიტიკა, თუ ეს შესაძლებელია, ან მიმართეთ ადგილობრივ იურიდიულ დეპარტამენტს სახელმძღვანელო მითითებების მისაღებად.

## რა არის „ქრთამი“?

ქრთამი არის კორუფციის ის ფორმა, რომელშიც მონაწილეობს ორი მხარე, რომლებიც შეთანხმდნენ, რომ გაყიდვების ან მოგების ნაწილი არასწორად გადაეცემა, მოხდება ფასდაკლება ან სხვაგვარად დაბრუნება ერთ-ერთი მხარისთვის (ან ამ მხარის მიერ დანიშნული სხვა პირისთვის), გარიგების დადების სანაცვლოდ.

# ჩვენი მომწოდებლები

ჩვენ ჩვენს ვუწესებთ კეთილსინდისიერების იმავე სტანდარტებს, რომლებსაც ვუწესებთ საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე, ყველა მომწოდებელი უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს მიმწოდებლის გლობალურ ქცევის კოდექსს, როგორც ჩვენთან ბიზნესის წარმოების წინაპირობა. ჩვენს მომწოდებლებში შედიან მესამე მხარის გამყიდველი, კონსულტანტი, კონტრაქტორი, მომსახურების მიმწოდებელი ან ნედლეულის, ინგრედიენტების ან შეფუთვის კომპონენტების მიმწოდებელი.

თუ თქვენ ხართ პასუხისმგებელი მომწოდებლის არჩევისას, უნდა იმოქმედოთ, როგორც მესაკუთრემ და მიიღოთ გადაწყვეტილება დამსახურების, მომსახურების ხარისხისა და რეპუტაციის საფუძველზე. მომწოდებლების არჩევისა და შენარჩუნებისას, უნდა დაიცვათ პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები და ეთიკური ბიზნესის პრაქტიკა.

თქვენ უნდა:

- დაიცვათ მოქმედი ფასის შეთავაზების, მოლაპარაკებების და კონტრაქტის დადების პროცესები.
- საჭიროების შემთხვევაში, დაიცავით სათანადო კეთილსინდისიერება PepsiCo-ს მესამე მხარის კეთილსინდისიერების პროგრამით (TPDD). იხილეთ გვერდი 24.
- დარწმუნდით, რომ მიმწოდებელი იცავს ადამიანის უფლებების დაცვის გლობალურ პოლიტიკას.
- მოერიდეთ მომწოდებლებთან დაკავშირებულ პოტენციურ ან რეალურ ინტერესთა კონფლიქტს და არასოდეს შესთავაზოთ უკანონო წამახალისებლები, როგორიცაა, „ქრთამი“.

იხილეთ ჩვენი მიმწოდებლის ქცევის გლობალური კოდექსი, ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის გლობალური პოლიტიკა და ჩვენი ინტერესთა კონფლიქტის გლობალური პოლიტიკა.

# სამართლიანი კონკურენცია

PepsiCo სამართლიანად კონკურეციას ეწევა. ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ კონკურენცია უკეთ გავუწიოთ კანონის და ეთიკის ფარგლებში. თქვენ მხოლოდ კონკურენტების პროდუქტებზე ან მომსახურებაზე უნდა გააკეთოთ კომენტარი ზუსტად და კეთილსინდისიერად, გამოიყენოთ კონკურენტუნარიანი ინფორმაციის მოპოვების მხოლოდ ლეგიტიმური საშუალებები და ყოველთვის დაიცვათ ანტიმონოპოლიური და კონკურენციის კანონები.

თქვენ არასდროს უნდა დადოთ შეთანხმებები ან გარიგებები PepsiCo-სა და კონკურენტებს შორის (ფორმალური თუ არაფორმალური, წერილობითი თუ სიტყვიერი), რომელიც ეხება შემდეგ თემებს:

- **ფასების დადგენა ან გაყიდვის სხვა პირობები**
- **შეთავაზებების კოორდინაცია ან მომხმარებლების, გაყიდვების ტერიტორიების ან პროდუქციის ხაზების გამოყოფა**
- **ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არღვევს მოქმედ კანონს**

თქვენ არასდროს უნდა განიხილოთ ისეთი თემები კონკურენტთან, თუნდაც არაფორმალურ გარემოში, როგორიცაა სავაჭრო შოუ ან მომხმარებელთა ღონისძიება.

თქვენ უნდა მოერიდოთ საქმიანობას, რომელიც, როგორც ჩანს, არღვევს ანტიმონოპოლიურ ან კონკურენციის კანონებს. მაგალითად, ყველა წერილობითი კომუნიკაცია, რომელიც ეხება ჩვენს ბიზნესს და ჩვენს კონკურენტებს, უნდა იყოს სათანადო ტონით და თავი შეიკავოთ ისეთი ენისაგან, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ანტი-კონკურენტული ქცევის წახალისება ან მესამე პირების დამამცირებელი.

ანტიმონოპოლიური ან კონკურენციის კანონების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ჯარიმები ჩვენი კომპანიისთვის და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დამრღვევი პირებისთვის. კონკურენციის კანონები კომპლექსურია და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მითითებებისთვის უნდა მიმართოთ ადგილობრივ იურიდიულ დეპარტამენტს და იხელმძღვანელეთ თქვენი სექტორის, რეგიონის ან ქვეყნის პოლიტიკით. თუ ეჭვობთ ანტიმონოპოლიური დარღვევის შესახებ, განაცხადეთ და აცნობეთ მის შესახებ.

იხილეთ ჩვენი გლობალური ანტიმონოპოლიური და სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკა და მიმწოდებლის ქცევის გლობალური კოდექსი.

## წესებით თამაში

თქვენ უსამართლოდ არასოდეს უნდა ისარგებლოთ ჩვენი ზომისა და მასშტაბის უპირატესობებით, როდესაც საქმე გაქვთ კონკურენტებთან, მომწოდებლებთან ან მომხმარებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ მიზანშეწონილია, ზოგადად, ბაზარზე გავაფორმოთ ჩვენი მასშტაბები, შეიძლება არამართლზომიერი იყოს არაგონივრული მოთხოვნების წამოყენება ჩვენს ბიზნესპარტნიორების მიმართ, ფასების, ვადებისა და პირობების შესახებ.

# ქრთამის საწინააღმდეგო

PepsiCo კრძალავს კორუფციის ნებისმიერ ფორმას ჩვენს საქმიან გარიგებებში. ბიზნესის პასუხისმგებლობით წარმართვით, თქვენ ხელს შეუწყობთ ჩვენი რეპუტაციის გაძლიერებას კეთილსინდისიერად მოქმედებისა და სამართლიანი გარიგებისთვის. თქვენ პასუხისმგებელი ხართ, გაიგოთ, თუ როგორ უნდა ამოიცნოთ და თავიდან აიცილოთ კორუფციის ყველა ფორმა, როგორც აღწერილია ჩვენს კოდექსში და ქრთამის საწინააღმდეგო შესაბამისობის პოლიტიკაში.

არ აქვს მნიშვნელობა, მსოფლიოს რომელ წერტილში მუშაობთ, არსებობს ქრთამის საწინააღმდეგო კანონი ან პოლიტიკა, რომელიც თქვენზე ვრცელდება. თანამშრომლებმა არასოდეს უნდა შესთავაზონ, უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით, მესამე მხარის მეშვეობით, რაიმე ღირებული, ბიზნესის მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად, არასწორი ზემოქმედებისთვის ბიზნეს გადაწყვეტილებებზე ან უსამართლო ბიზნეს უპირატესობის უზრუნველყოფისთვის.

ნებისმიერი ღირებული მოიცავს არა მხოლოდ ფულად სახსრებს, არამედ საჩუქრებს, მასპინძლობას (მოგზაურობა, სადილი და გართობა), შემოწირულობისა და სპონსორობას, ან სხვა რამეს, რაც შეიძლება ღირებული იყოს ადრესატისთვის. ასევე, თქვენ არ უნდა გადაუხადოთ ფორმალობის გამარტივებისთვის სახელმწიფო მოხელეებს.

ქრთამის საწინააღმდეგო გლობალური შესაბამისობის პოლიტიკაში გამოვლენილი რამდენიმე ვიწროდ მორგებული გამონაკლისის თანახმად, თქვენ უნდა მოიპოვოთ წინასწარი თანხმობა გლობალური შესაბამისობის და ეთიკის პორტალის მეშვეობით, სანამ გაწევთ რაიმე ხარჯს, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფო მოხელეები (საჩუქრები, მოგზაურობა, გართობა, სტუმარმასპინძლობა და ა.შ.). წინასწარი თანხმობის მოპოვების საფუძველზე, ყველა ასეთი გადახდა ან სხვა ხარჯის გაწევა სახელმწიფო მოხელეების სასარგებლოდ როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მესამე პირის მეშვეობით უნდა აღიწეროს და დაფიქსირდეს ჩვენს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებში ზუსტად და გამჭვირვალედ.

თუ თქვენ გაქვთ შეკითხვები ან არ ხართ დარწმუნებული შესაბამისი სამოქმედო კურსის თაობაზე, უნდა დაუკავშირდეთ თქვენს ადგილობრივ შესაბამისობისა და ეთიკის ოფიცერს ან ადგილობრივ იურიდიულ დეპარტამენტს. დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ მოსალოდნელი მოსყიდვის ქმედების, ქრთამის მოთხოვნის, ან ქრთამის ფაქტობრივი გადახდის შესახებ, რომელიც იძულებით მოხდა, უშუალოდ თქვენს ადგილობრივ იურიდიულ დეპარტამენტს ან გლობალური შესაბამისობის და ეთიკის ოფიცერს, ან ცხელი ხაზის მეშვეობით.

იხილეთ ჩვენი ქრთამის საწინააღმდეგო შესაბამისობის გლობალური პოლიტიკა (ABAC პოლიტიკა) და მიიღეთ წვდომა ABAC პოლიტიკის წინასწარი დამტკიცების ფორმაზე მთავრობის საჩუქრების, სადილების, T&E-ის, სპონსორობის და შემოწირულობებისთვის აქ.

## რა არის „გადახდა ფორმალობის გამარტივებისთვის"?

გადახდა ფორმალობის გამარტივებისთვის არის სახელმწიფო მოხელის მიმართ განხორციელებული გადახდა, არადისკრეციული მოქმედებების ან მომსახურებების დასაჩქარებლად, როგორიცაა, პოლიციის დაცვის ან საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფა, ვიზის დამუშავება, სანებართვო ან სალიცენზიო განაცხადები, ან კომუნალური მომსახურების მიწოდება, როგორიცაა სატელეფონო მომსახურება, წყალი და ელექტროენერგია. ეს გადასახადები აკრძალულია PepsiCo-ში, თუნდაც დაშვებული იყოს ადგილობრივი კანონით.

# სახელმწიფო მოხელეების განსაზღვრა

სახელმწიფო მოხელეები მოიცავს ნებისმიერ ოფიციალურ პირს, თანამშრომელს ან პირს, რომელიც მოქმედებს შემდეგის სახელით:

## მთავრობა ან მისი რომელიმე დეპარტამენტი ან სააგენტო:

- მთავრობის მინისტრები და მათი თანამშრომლები.
- საჯარო მოხელეები, მათ შორის პოლიცია, საბაჟო მოხელეები და ოფისის მოსამსახურეები.
- სამშენებლო და უსაფრთხოების სხვა ინსპექტორები.
- სამხედრო სამსახურის წევრები.
- მარეგულირებელი სააგენტოს თანამშრომლები, მათ შორის გარემოსდაცვითი, საგადასახადო და სალიცენზიო.

## საჯარო საერთაშორისო ორგანიზაცია:

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.
- მსოფლიო ბანკი.
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია.
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.
- საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციები, როგორიცაა UNICEF.

## სახელმწიფო კონტროლის დაქვემდებარებაში ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ორგანიზაცია:

- სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლაბორატორია ან კლინიკა.
- სახელმწიფო ტელეარხი.
- სახელმწიფო კონტროლის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმო, როგორიცაა ავიახაზები, თავდაცვის სამინისტროს მენარდეები.
- კომუნალური მომსახურები (ელექტროენერგია, ნავთობი, გაზი).

## პოლიტიკური პარტიის ოფიციალური პირი ან პოლიტიკური კანდიდატი:

- არჩეული მოხელეები მთავრობის ნებისმიერ დონეზე (ეროვნული, სახელმწიფო, ადგილობრივი).
- მერები, საგანგებო რწმუნებულები, მუნიციპალური საბჭოს წევრები.
- ის კანდიდატებიც კი, რომლებიც პოლიტიკურ თანამდებობაზე არასდროს ყოფილან.

## სამეფო ოჯახების წევრები

## რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილის მეუღლეები ან ოჯახის წევრები

## მესამე მხარის კეთილსინდისიერი მოქმედება

